

რედაქცია

მოღონის (აბას-აბატის) მედანი, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи ВЪ редакціи газетъ „Дროშка“.

გაზეთის უასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ცუხულს ენებზე.

განცხადების უასი

ღიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონით, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

ითუ საქროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროშა

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

## საქართველო

### კინფლაობა გაზეთში

ახირებული შეხედულობა აქვს ჩვენს ხალხს გაზეთზე!

მრ მეზობელს რაიმე უსიამოვნობა მოუვიდათ. — მართლაც და მეორეც გაცხარებულ სტატიებს სწორედ ერთ-მანეთზე და გაზეთში ჰგზავნიან დასაბეჭდათ!

მამას შეილთან ან შეილს მამასთან განხეთქილება აქვთ რომელსამე, სრულიად კერძო საქმეზე. — მზათაა გაზეთისათვის აღშფოთებული სტატია!

რძალსა და დედამთილს შუა ჩვეულებრივი ჩხუბი მოხდა. — ჩნდება კაცი, რომელიც ამ შემთხვევის გამოც კი საჭიროთ რაცხს, რომ „დროშაში“ სტატია გამოგზავნოს!

ჩვენ თვითონ გავიგონია, ერთი მოჩხუბარი მეორეს დამუქრებოდეს: „მაცა, შენ თუ გაზეთში არ ჩაგწერო, თავს ლაფა დამასნი!“

მართი სიტყვით, ვისაც კი სრულგებობით კერძო ანგარიშები აქვს ან თავის ნაცნობებთან, ან მეზობლებთან, ან ნათესაებებთან, ყველა გაზეთში მორბის, თავის მოწინააღმდეგეს „გაზეთში ჩაწეროს“ ემუქრება.

ათი წელიწადი არსებობს გაზეთი და ჯერ კიდევ კარგათ ვერ შეუტყვიათ, რომ გაზეთი მხოლოდ ისეთ საქმეებს ეხება, მხოლოდ ისეთს რასმეზე ლაპარაკობს და დაბეჭდავს, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობა აქვს; ვერ გაუგიათ, რომ მეზობლების უთანხმოებაში, ოჯახის წევრების უკმაყოფილებაში, რძალ-დედამთილის ჩხუბში ის არავითარ საზოგადო ინტერესს არა ხედავს და არც გაერევა.

მანსაკუთრებით იმერლები არიან გამოჩენილნი ამ გვარ საქმეებში, და იმერლებში კიდევ ყველაზე უფრო იქაური მღვდლები და სასულიერო სასწავლებლის მოღვაწენი.

მართი რამ უბრალო ამბის დაბეჭდა და მღვდლებზე ან ამ სასწავლებლებზე საკმაოა, რომ ხუთი-ექვსი სტატია ერთად მოვიდეს რედაქციაში ამ სტატიის წინააღმდეგ პასუხად, და სანამ ერთი პასუხი დაიბეჭდებოდეს, რამდენიმე პასუხის-პასუხი მზათ არის!

შეველია, თვითონ სასწავლებლის მოღვაწეებისთვის ძალიან საინტერესო უნდა იყოს ყოველივე წერილობითი გარემოება და ანგარიშები, რომელიც იმათ სასწავლებელს შეეხება. მ გრამ დანარჩენი „დროშის“ მკითხველების მდგომარეობაც წარმოიდგინეთ, შეიბრალებთ ისინიც, რომელთათვის მაგდენათ საჭირო არ არის შეიტყობნ: რომელიმე წერილი სასწავლებ-

ბლისა ყოველთვის თავის დროზე დაიარებოდა რჩევაში თუ არა, ანუ ეკონომმა ყველა მანეთიან გასავალზე ხელი მოაწერინა გამომყიდველებს, თუ არა!

მგონი, ქვეყანა არ დაიქცეს, ეს რომ არ შეიტყონ „დროშის“ მკითხველებმა და ამის უტოდენლობით არც გონება-დახშობილნი დარჩებიან!

ღღემდინაც ცდილობდა გაზეთის რედაქცია, რომ რაც შეიძლებოდა იშვიათად ყოფილიყო ამ გვარ წერილს რამეებზე იმის ფურცლებში ბასი და ლაპარაკი. ღღის შემდეგ კიდევ უფრო ეცდება.

მისაც კერძო რამ გაქვთ ერთმანეთში სადავო და საჩხუბარი, კერძოთვე მორიგდით მეგობრულად ან მტრულად.

მაზეთი არც მომრიგებელი სასამართლოა, არც ოლქისა და არც სამოსამართლო პალატა. მხოლოდ ამ დწესებების საქმეა კერძო პირებს შუა სხვა და სხვა უკმაყოფილებისა და ჩხუბის მოსპობა და გადაწყვეტა. მაზეთს კი, როგორც საზოგადო ორგანოს, სრულგებობით სხვა დანიშნულება და მოვალეობა აქვს...

ს. მესხი

### დღიური

ქალაქის ახლო-მახლო სოფლებიდან გეტყობინებენ, რომ ამ უკანასკნელი კვირის განუწყვეტელ წვიმებს პური ძალიან გაუფუჭებია. ძახეთის ერთი სოფლიდან, სხვათა შორის, გვწერენ, რომ, თუ რამდენიმე დღეს კიდევ გაგრძელდა ამისთანა ტაროსი, ახლა წვიმა დაგვაცენებს იმ დღეს, რა დღეშიაც წინა წლებში გვალვისაგან ვიყავით ჩვეოდნილიო.

ჩვენი რკინის გზის სტანციებიდან გვწერენ, რომ რადგანაც წვიმებმა ბევრ ალაგას გზები გააფუჭაო, ამის გამო შოთსა და შალაქს შუა ძალიან ბლომად ჰყრია საქონელიო. შეველია, ვაჭრობა ამისაგან ბევრს ზიანს ნახავს და ამიტომ, როგორც „თფილისის მოამბე“ ამბობს, საჭიროა, რომ რკინის გზის გამგეობამ ენერგიული საშუალება იხმაროს და ეცადოს, რომ სტანციებზე დაყრილი საქონელი დროზე გადაიტან-გადმოიტანოს.

ამავე გაზეთს ერთი გასაოცარი მინუში მოჰყავს იმისა, თუ როგორ მდიდრდებიან ჩვენში უცხო ქვეყნელები: უფ. შაკოს, რომელსაც სასტუმრო „მოლხიდა“ აქვს შოთ-

ში, სამი დღის განმავლობაში, ორი მდგმურისათვის თოთხმეტი თუმანი გადაუხდევინებია; მართლაც სამ სტაქან კანიკიან ჩაიში უფ. შაკოს ანგარიშში 8 მან. 10 კაპ. არის ჩაწერილიო! ამისთანა საშუალებით რომ გამდიდრდნენ უცხო ქვეყნელები და ჩვენგან რომ ბლომათ ფული გაიტანონ რათ გაგიკვირდებათ!

მართი შეუბრალებელი გორგონი კრიტიკოსი გვეცხავს იმისთვის, რომ ფელტონებსა, ძველებურ ამბებს და ზღაპრებს ერთობ ბევრ ალაგს აძლევთ გაზეთშიო. „ჩვენ სერიოზული სტატიები გვეჭირებაო“, ამბობს ჩვენი კრიტიკოსი; „მასხარობა და ზღაპრები რა თვალში გეტყვიაო! ითუ გნებავთ, ოც თაბახს ავიყიებთ იმისთანა ზღაპრებით, როგორც მაგ. „ზოგია მეჩანგურეო“ და გამოგზავნითო“.

აქ ადგილი არ არის, ჩვენს მკაცრ მსაჯულის გამოვებასოთ და დაუმტკიცოთ — თუ რა მნიშვნელობა აქვს ფელტონებს და სხვა ამ გვარ ნაწერებს. მხოლოდ ერთს ვეტყვიო:

ითუ ის ერთს იმისთანა ზღაპრს გამოგვიგზავნის, როგორც არის, მაგალითად, იმისაგან ხსენებული „ზოგია მეჩანგურე“, ჩვენ დიდ მადლობას შეუთვლით. კრიტიკაში სუსტი ყოფილა, ჩვენის აზრით; ვინ იცის, იქნება ზღაპრების წერა უფრო ეხერხებოდეს!...

შიზლიარიდან იწერებიან გაზ. „მაცაში“, რომ ამ თვის 15-ს იქ საშინელი ცეცხლი გაჩენილა, რომელსაც 200 ლუქანი გადაუწვავს. როგორც შოთში, ისე არც აქ ჰქონიათ რიგიანი ცეცხლის საქრობი მაშინები და დანარჩენი სახლები და ლუქნები მხოლოდ იმით გადაურჩენიათ, რომ ის ლუქნები დაუხგრვეიათ, რომელნიც ცეცხლთან ახლოს იყო და ჯერ არ დამწვარიყო.

იქნება ამაღენ მაგალითებმა ჩვენ ქალაქებს ჰკუა ასწავლოს, და ცოტადენი ხარჯი არ დაზოგონ დიდი ზიანის თავიდან ასაცდენათ.

ვიმეორებთ წგანცხადებას, რომ ერთი-ორი თვე იქნება მას აქეთ, რაც თფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა წარუდგინა უმაღლეს მთავრობას ბანკის გამგეობის აზრი წესდების § 27 და 30 დამატებაზედა. მხლა გეტყობინებენ, რომ ეს დამატება დაუმტკიცებია მთავრობას. ამის შემდეგ ყოველს ქალაქს უძრავი ქონების პატრონს შეეძლება 27 1/2 წლის ვადით ისეხოს ფული ბანკიდან და წელიწადში ყოველს ათ თუმნიანს

გირაოს ფურცელში მხოლოდ ცხრა მანეთი გადინადოს თავნი, სარგებელი და გამგეობაზედ სახარჯო ფული.

### „დროშის“ კორესპონდენცია

წერილი ბურილიდან

მიცი თქვენთვის საინტერესო იქნება ყველა ამბის შეტყობა იმ ჩვენი მეზობელი ხალხის ლაზისტანის ცხოვრებაში, რომელშიაც ჩვენი ძმები ქართველები ცხოვრებენ და ამის გამო ერთ ამბეს გატყობინებთ.

მართს პატივეცემულს და დამსახურებულ მუფტას (სამღვდლო პირს) როგორც მაჰმადის ერთგულ თაყვანისმცემელს, მეტად უყვარს მშვენიერი სქესი და არა ერთ კაცლუც მანდილოსანს უმტკიცებს თავის კეთილ განწყობილებას და პატივისცემას მრავალ გვარი ყურადღებით და ფეშქაშებით.

მაგრამ ამ გულ-კეთილ ქმნილებაშიც გამოირევა ერთი ბოროტი და უმადური სული, რომელსაც ღირსეულად ვერ შეუფერებია ვე დიდება და შემდგომი საკიცხვი საქმე ჩაუდენია ერთს წასული მამისის მშვენიერ დილას, როცა მას უეცრათ დასჭირვებია სამასი თუმანი ფული, რომელიც მას არა ჰქონია. ეს ბოროტი დედა-კაცი უცებ მივარდნია სახლში თავის მალაღმწყოლობელს — მუფატას, სწორეთ იმ დროს, როცა მუფატა მაჰმადის სადიდებლათ მქნეთში წავლას ემზადებოდა და ყველა ძვირფასი ორდენები (ზემოთ იყო ნათქვამი, რომ ის დამსახურებული და პატივეცემული გვამია), სტოლზედ ეწყო. მოუწვეველ სტუმარს პირდა-პირ გამოეცხადებინა მასხინძლისათვის, რომ სამასი თუმანი ფული მჭირიან და ახლავე უნდა მომცეო.

ბულ-კეთილ მასხინძელს ფიცით შეუფიცავს, რომ ასი თუმნის მეტი ფარა არა მაქვს და ამ ფულს ახლავე მოგცემსო.

ამ სიტყვებით ის შექულა თავის საწოლ ოთახში და მაშინვე ფულები სასტუმრო ოთახში გამოუტანია. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გოაცება, როცა სასტუმროში არც ეს ბოროტი სტუმარი დახდომია და არც მისი ორდენები. წარმოიდგინეთ მისი კიდევ მეტი გოაცება, როცა რამდენიმე მინუტის შემდეგ მას მოსვლია ბრათი, რომელშიაც მომტაცი სწერდა, რომ თუ ახლავე არ გამომიგზავნე ჩემგან მოთხოვნილი ფული, ესაა წაველე სამსჯავროში შენი ორდენები და წარეადგინე, როგორც შენგან



სამას თუმანში გირაოთ მოცემული ნივთებიო.

რალა თქმა უნდა, რომ იმავე საათში მუფტამ აუსრულა სურვილი უნამუსო მტაცებელს და თავისი ორდენები გამოიხსნა.

ამავე მუფტაზე ამბობენ, რომ ერთხელ მან მოინდომა ერთი თავის მიყრუებული და მოშორებული სამუფტოს დახედვად და იმის ნაცვლად, რომ თითონ სამუფტოს საქმე კარგათ შეიტყოს და გამოიკვილოს, დაიწყო ამ გვარი ცნობების შეკრეფა: როგორი შეხედულობისა ესა და ეს ქალი, ვის მიჰყვება ისა, ვის ირთავს ეს კაცი, როგორი შეძლება აქვს ამ ქალს, როდენი წლისაა და სხვა ამ გვარებია!

ახირებული სამღვდლო პირები ყოფილან ლაზისტანში განა?..

—სა

შოთი, 28 ივნისს

საბრალო ფოთელებს ჯერ წელი არ გაუმართავსთ იმ საგრძობელ ზარალისაგან, რომელიც შეამთხვია მათ ამ ექვსი თვის წინ ცეცხლმა და დღეს 3 1/2 საათზე, დილით, უეცრივ შუაგულ ბაზარში გაჩნდა საშინელი ცეცხლი.

სანამ კარგათ არ გძლიერდა, კაცს არ გაუგია. ზოგიერთმა ვაჭრებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს თურმე ცეცხლის გაჩენა, როცა ძილში ჭერიდამ ნაპერწყლები თავზე დაეცათ. საქონელი ბევრი გადაარჩინეს ცეცხლიდან, მაგრამ პატრონებს მაინც ცოტა ერგოთ, რადგან ვიღაც ბოროტებმა დაიტაცეს. იპოდენათ გაძლიერდა ცეცხლი, რომ პირის-პირ აშენებულ ქვის დუქნების წყებას კინაღამ მოედო ალი; თუმცა ერთს ქვის დუქანს ამ წყებაში გაუჩნდა ცეცხლი, მაგრამ უცფათ მიეშველენ და გააქრეს.

პოლიცია მოვიდა თუ არა თავის ცეცხლ-მქრობელით, გაამხნევა გარეშე პირები, რომელთაც დაეკრიფათ ხელები გულზე და ისე შეცქეროდნენ ცეცხლს, თითქო ფოთელების ბედნიერებას ხედვიდნენ; მათი შემწეობით პოლიციამ აღარ გაუშვა ცეცხლი: ერთი დუქანი დაანგრის, სანამ იქ ცეცხლი მივიდოდა და მერმეთ ცეცხლმა გზა ვერ იშოვა, რომ სხვა დუქნებს მოსდებოდა.

სულ ოცდახუთი დუქანი გადაიწვა.

ამბობენ, ამათში მხოლოდ სამი თუ ოთხი დუქანი იყო საზღვეველად შეტანილიო.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი და ამით მომხდარი ზარალი ჯერ ნამდვილად არაინ იცის.

ბ. მუთათელაძე

### რუსეთი

რუს პეტერბურღელ ვაჭარს მთავრობისათვის თხოვნა მიუციათ, რომ იმათ პეტერბურღის უზღისათვის ლომბარდის გახსნის უფლება მიეცეს. ამ ლომბარდში, რომელიც განსაკუთრებით გლეხებისათვის იქ-

ნება გამართული, უძრავ ქონებას გარდა, სამეურნეო იარაღებისა და პირუტყვების დაგირაებაც შეიძლება; დაგირაებული საქონელი და ადგილ-მამულისევე მებატრონის მფლობელობაში დარჩება. იმედი აქვთ, რომ ლომბარდი ცოტათი მაინც გაათავისუფლებს გლეხებს იმ ფულის მსესხებლებისაგან, რომელნიც, როგორც ჩვენში, ისე იქაც სულს აძრობენ და თავნის ოდენ სარგებელს ახდენენ გაჭირებულ ხალხს.

რუს შუა ქალაქი აპირებს პეტერბურში ქალების არტელის (ამხანაგობის) შედგენას, რომელიც წიგნებითა და გაზეთებით ივაჭრებს. პეტერბურში ქუჩის ბიჭები დაატარებენ გაზეთებსა და თითო ნობრობით ჰყიდიან. შუა ქალაქის ჰაზრით, ამ საქმეს ქალებიც ადვილათ შეასრულებენ. ამის თაობაზე უფ. ქალაქის მთავრობისათვის თხოვნა წარუდგენია და იქნა აქეთ, რომ ამ საქმის სისრულეში მოყვანის არაფერი დაბრკოლება არ ექნება.

რუს შოჩის დეპარტამენტმა გამოსცა ამ მოკლე ხანში ერთ პატარა თაბახ ქალაქზე შემოკლებული წესდება ფოჩის კორრესპონდენციისა, რომელშიაც მოხსენებულია—თუ როგორ გაიგზავნოს ფოჩაში სხვა და სხვა გვარი წიგნები და ნივთები და როგორ შეიძლება ფოჩიდან მიღება. ეს წესდება ისედაა ყველა ფოჩის კანტონებში და თითო მგზემპლიარა ორ კაპეკად ღირს.

რუს ირკუტსკში შესდგა ამ ორი წლის წინათ საზოგადოება, რომელიც აღმოსავლეთ სიბიერის გიმნაზიებში და სხვა სასწავლებლებში მოსწავლე ღარიბ შვირდებს ეხმარება. საზოგადოებაში, როგორც სწერენ, ამჟამად 250 წევრია თურმე და 2,000 მანეთი მოუგროვებიათ. ბევრი ღარიბი ყმაწვილების მაგიერად, რომელთაც სწავლის ფასის შეტანა უჭირდათ, ამ საზოგადოებას მიუცია ფულები და ამნაირად ამათ სწავლის გაგრძელების საშუალება არ მოსპობიათ.

რუს მლადიკავკასის სამხედრო ლაშქრის კამიტეტს ამ წლის 15 აგვისტოდამ სამხედრო ლაშქრალში გაუხსნია ისეთი სასწავლებელი, სადაც ფერშლობას ასწავლიან.

რუს მდესილამ იწერებია, რომ ამ ერთი კვირის წინათ იქ საშინელი სიციხეები ყოფილა ასე, რომ ვერც ქოლგა, ვერც გასაგრძობელი სასწავლებლები და ვერც სახლში ფარდების ჩამოშვება ვერ შეეძლოდა თურმე ხალხს. თვითონ ზღვაც, როგორც ამბობენ, ისეთი გამთბარი იყო თურმე, რომ შიგ ბანაობაც არ შეიძლებოდა და ამნაირად მცხოვრებლებს ეს უკანასკნელი გასაგრძობელი საშუალებაც მოსპობილი ჰქონდათ.

რუს „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილის დეპეშიდამ ეტყობულობთ, რომ რამდენიმე მდესელი ქალი თხოულობს მთავრობისაგან ნება-რთვას, რომ ჩვენის ხარჯით მდეს-

საში ქალებისათვის უმაღლესი სასწავლებლის გახსნის უფლება მოგვეცესო.

### რუსი ქალები

საზრანბაში. რუსუბლიკელმა დეპუტატებმა გამოაცხადეს მანიჭესტი, რომელზედაც ყველა პარიჟის გაზეთებში ლაპარაკობენ ამ ჟამად. მანიჭესტის საზოგადო ჰაზრი ის არის, რომ ჩვენ ყველამ რითაც შეგვიძლია უნდა ვეცადეთ, რომ ნაციონალურმა ძრებამ მალე დაითხოვოს თავის თავი. რუსუბლიკელები ურჩევენ თავის მომხრეებს, რომ წვრი-მალე კითხვების მოლაპარაკების დროს სულაც ნუ ილაპარაკებთ ძრებაში, ნუ დაგვიანებთ დათხოვნის დროს, იქნება რაც საქმეები აქეთ, მალე მოჩინენ ძრებაში და მალე სამუდამოთ დაითხოვონ თავი.

როგორც პარიჟის გაზეთებში იწერებია, ამ მანიჭესტმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, არა თუ მარტო პარიჟში, მთელს საფრანგეთშიაც; და ეს ადვილად გასაგებიც არის, ამბობენ, რადგან საფრანგეთის ქალაქისა და სოფლის ხალხი ერთ-ხმათ თხოულობს ახლაც, რომ შერსალის ნაციონალური ძრება დათხოვნილი იყოს და იმის ნაცვლად ახალი ძრება და სენატი ამოირჩიონ, რომელმანც საბოლოოთ უნდა გადაწყვიტოს—თუ როგორი მმართველობა და რა წესები უნდა დაარსდეს საფრანგეთში. ამბობენ, ამათი ნატურა მით უფრო ადვილად შეიძლება მალე შესრულდეს, რომ თვით მმართველობა და ახლანდელი სამინისტროც ამ ჰაზრის არისო. მარშალი მაკ-მაჰონი მოუთმენელად მოელის თურმე იმ დროს, როდესაც იმის უფლებებს განსაზღვრენ და ამიტომ ესეც ამ ჰაზრის წინააღმდეგობას არ აცხადებს.

იმ კომისიას, რომელსაც კონსტიტუციური კანონების განხილვა აქვს მინდობილი, სხვათა შორის, ერთი ისეთი მუხლი დაურღვევია კონსტიტუციის პროექტისა, რომლის წინააღმდეგაც ყველა რუსუბლიკელები იყვნენ; ეს მუხლი ის მუხლია, რომლის ძალით კენჭის ყრისა და მამასადამე დეპუტატის ამორჩევის უფლება მხოლოდ იმ პირს ეძლეოდა, რომელსაც ერთსა და იმავე ალაგას ორი წლის განმავლობაში უცხოვრია. ამ კანონით ძალიან ბევრ ფრანკულს, რომელნიც ერთი დეპარტამენტიდამ ან ერთი ქალაქი-დამ მერაქში გადადიან, კენჭის უფლება ერთშეოდათ. შევლაზე უფრო მანებელი ეს კანონი საკუთრივ მუშა ხალხისთვის იქნებოდა, რომელიც საფრანგეთში თითქმის ყველანი რუსუბლიკელები არიან, და ამიტომ ადვილად წარმოსადგენია—თუ რად ცდილობენ მონარხისტები, რომ იმათ კენჭის უფლება წართვან. მაგრამ იმ კონსტიტუციურ კომისიას, რომელზედაც ზევით ვსთქვით, ეს მუხლი მოუსპია და დაუდგენია, რომ

ყველა საფრანგეთის რესპუბლიკელ-მელიც ერთსა და იმავე ქალაქს ექვსი თვის განმავლობაში ცხოვრებს, კენჭის უფლება აქვსო. ეს გადაწყვეტილება ახლა თვით ნაციონალურ ძრებამ უნდა განიხილოს და იმაზე დამოკიდებული: საბოლოოთ მიიღებს ის ამ გადაწყვეტილებასა თუ არა.


ინგლისი. დიდი და ძლიერი პარტია ირლანდიაში, რომელიც თხოულობს, რომ იმათი სამშობლო ირლანდია ინგლისის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული იყვეს. ამათ ხან ძალითა: რევოლიუციით და შეთქმულობით სურთ თავიანთი განზრახვის მიღწევა და ხან კი ლოლიკით, პარლამენტალური მოქმედებით. აი, ახლაც ამ პარტიის წარმომადგენლებს შეუდგენიათ პარლამენტში წარსადგენი ქალაქი, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ ერთი პარლამენტი ინგლისისა და ირლანდიისათვის მოუხერხებელი საქმე არისო, ეს პარლამენტი ირლანდიის საქმეების განხილვაში ყოველთვის კოჭლობო; და ამისგანმო თხოულობენ, რომ ირლანდიას, სრული დამოუკიდებლობა თუ არა, ჯერ-ჯერობით უფრო მომეტებული თავისუფლება და საკუთარი პარლამენტი მაინც მიენიჭოსო. რალა თქმა უნდა, რომ ახლანდელი პარლამენტი ამ თხოვნაზე გადაწყვეტილ უარს განაცხადებს.

### ქრონიკა

სამართლებლო ადვინისტრატისული მდგომარეობა ალმასანდრე მაკედონელის წინ

ამის შემდეგ გავიდა 65 წელიწადი და მერმე, მან წელს მრ. დაბადების წინ, როცა გაძლიერდა პლექსანდრე მაკედონელი, დაამხო სპარსეთის სამეფო და მოჰკლა მეფე დარიოს პოდომან მე-III-მე. ღეროდორტი და სხვა ისტორიკოსები ამბობენ, რომ ამ დროს საქართველო ორ სატრაპიად გაიყოფებოდა. ამასვე ამბობენ „მართლის სხოვრება“ და სხვა ჩვენი ძველი მემკვიდრეები. „მართლის სხოვრება“ მაგალითებრ ამბობს, რომ იმერეთში ამ დროს ერისთავად იჯდა მუჯი, აღმოსავლეთის საქართველოში სამარა მამასანლისიო. ამ სახით თანხმობენ ამ თქმულებაში უცხო თემის ისტორიკოსები და ჩვენი მათიანე.

მაგრამ ჩემის ჰაზრით შესაძლოა დამტკიცება, რომ ამ სატრაპიების გარდა საქართველოში ამ დროს სხვა საერისთავებიც იყვნენ. შუ. დი. ბაქრადე, თავის ისტორიულს გამოკვლევაში „საქართველო“, მე-4-ე კაბადონზე ამბობს: „მეფეთა სასატრაპოს შეადგენდა აქ შოა ადგილი—მხარე, რომელიც მდებარეობდა მერმოდონსა და პოლხიდას შუა, სადაც ციხე ღელეებში და შეუვალს ადგილებში, ღეროდორტის თქმით, სახლობდნენ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები, მოსუნოები და მარესები. ხუთივე ეს ტომი სპარსეთს აძლევდა ხარკად სამასს



ტალახს (387,000 ათასი მან.) ისინი ხმარობდნენ ერთ გვარს სამხედრო იარაღს და ტანსაცმელს. სჩანს, იტყვის მივიან, იმათ ჰქონდათ ერთი შთამომავლობა და ერთის შტოდამ წარმომადგარი ენები. ამათ თავზე ეხურათ ხის ჩაჩქანი; ისინი ჰხმარობდნენ მოკლეს და ვიწროს ტყავის ფარს, რომლითაც მტერს იგერებდნენ; იმათ ხელში ეჭირათ მოკლე და გრძელი რკინის შუბი. ჩვენ კიდევ ვსთქვით, რომ ეს ტომები, ძველი მწერლების ჰაზრით. ქართველ ნათესაობას შეადგენდნენ.“

ამ ღეროდოტის სიტყვებს რომ დაუმატოთ 401 წელს, ძრის. დაბ. წინად თქმული მსენოფონტის სიტყვებიცა, რომელნიც ჩვენ ზევით მოვეყვანეთ, მაშინ დარწმუნებით შეიძლება ვსთქვათ, რომ საქართველო აღექვსანდრეს დროს განიყოფებოდა ოთხს სასატრაპოდ ანუ ლუბერნიად. პირველი იყო ახლანდელი შიდა ქართლი და დედაქალაქად იყო მცხეთა; მეორე—იყო იმერეთი და დედაქალაქად ჰქონდა ძველი სენაკი, რომელშიაც ამ დროს იჯდა შარანოზის მებრძარი ძუჯი; მესამე—შეადგენდა ახლანდელი სამცხე-საათაბაგო, რომელსაც დედაქალაქად ჰქონდა (ევგონებ) ორბეთი, რომელშიაც ამ დროზე უფრო უწინარეს ჩინეთიდან მოვიდნენ ორბე-ლიანი და დესახლენენ; მეოთხე—იყო ქალაქად ირიცხებოდა ჰერეთი, რომელიც იყო აშენებული იორისა და ალაზნის შესაყარს შუა. ამ წყლების საშუალო ადგილს უწოდებდნენ აგრეთვე „ხირნაბუჯად.“

ამ გვარ აღმინისტრატორული სახე მისცა მთელს საქართველოს ტერიტორიას თვით ქართველთა ერის მართებლობამ; მაგრამ მხედველობაში რომ მივიღოთ ისტორიკოსების თქმულება, რომ მთელი საქართველო შეადგენდა სპარსეთის სამეფოს ორს, მე-XVIII და მე-XIX, სასატრაპოს და ღეროდოტისაგან თქმული მენტუთე სასატრაპოც, რომელიც მდებარებდა თერმოდონსა და ძოლხიდას შუა, ზედ მიუმატოთ, მაშინ იქნება სამი სასატრაპო და დაგეკლდება კიდევ მხოლოდ ერთი. მაგრამ თუ სპარსეთის სამეფოს მენტუთე სასატრაპოს შეადგენდა ახლანდელი სამცხე-საათაბაგო, მაშ სჩანს სხვას შეადგენდა ძოლხიდაც, რომელზედაც ისტორიკოსების ჰაზრი სხვა იყო და ძოლხიდელებს შეცდომით მგვიბტელებად რაცხდნენ, და არა ქართველებად.

ამ ჰაზრის უფრო უმეტესად დამტკიცება ადვილი იყო, უკეთეს მქონდა ხელში ის წყაროები, რომლებშიაც აღიწერებინ თვითოველად სპარსეთის სამეფოს სასატრაპოები; მით უფრო უმეტეს, რომ უცხო ისტორიკოსები, არ ვიცით რისთვის, არ რაცხვენ ზოგიერთ ქართველ შთამომავლობის თემებს ქართველებად. აგრეთვე არ არის ცხადი, საქართველოს ტერიტორიის რომელი ნაწილები შეადგენდნენ მე-XVIII-სა და მე-XIX სპარსეთის სამეფოს სასატრაპოებს.

ბი ამ სახით სპარსეთს აღმოსავლეთის საქართველოში აღექვანდრე მაკედონელის დროს ჰქონდა სამი სასატრაპო და 26 სასატრაპო-ში, ჩემი ჰაზრით, სამცხე-საათაბაგო იწოდებოდა მე-V სასატრაპოდ, შიდა ქართლი მე XIX-დ და ქახეთი—აღბანია მე-XVIII-დ.

ინგილო ჯანაშვილი

### საბაასო

#### კასუხი „სასოფლო გაზეთის“ და უფ. თიონელს

„სასოფლო გაზეთის“ პირველ №-ში იყო საზოგადოთ გამოცხადებული, რომ ზოგიერთ მამასახლისებს მრწო-თიანეთში აქვსთ ღვინო-არაყის ღუქნები, იღებენ მათში მონაწილეობას, ახდენენ ამ ღუქნების კარგებზედ ხალხის ყრილობას და საქმეების რჩევას.

მას აქეთ, მგონია, ერთი №-იც არ გამოსულა, რომელშიაც არ იყოს გამოცხადებული, რომ ყველა ეს გადმოცემული ფაქტები ტყუილია. მეორევე №-ში არის ცალკე სტატია ამ ფაქტების გასამტყუენებლათ უფ. თიონელისა. უკანასკნელ მეოთხე №-ში, რომელიც გამოვიდა შეიქცე-თვის ნახევარში, თვით რედაქტორი უბრუნდება ამ კითხვას და იმ ადგილს, საცა სახელმძღვან. ლო, მოწინავე სტატეები იბეჭდებიან ხოლმე, ის უცხადებს თავის მკითხველ-სოფლებს, რომ რაც ამაზედ და-ბეჭდილი იყო, ყველა ტყუილი ყოფილა, რომ არცერთ მამასახლისს არა აქვს მონაწილეობა სახმელის ვაჭრობაში, მარტო სახლები აქვთ ვაჭირავებულო, რომ ამაზედ დიდი ყურადღება არის მიქცეული „ვისდა-მიც ჯერ არს,“ და ბოლოს დიდს სიხარულით და აღტაცებით განუცხადებს მადლობას ამ ნამდვილი ფაქტების გადმოცემს. ამ მართლა სასიხარულო ამბავს „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორი შეაზავებს სხვა და სხვა სანელბლით, რომ იმის გაზეთის სამფლობელოში ყველგან კარგათ არის საქმე: არც მამასახლი-სები ვაჭრობაში იღებენ მონაწილე-ობას, არც ადგილობრივი მოსამარ-თლენი მზრუნველობას და ყურად-ღებას აკლებენ თავიანთ სახელით, არც იმისი გაზეთი რჩება წაუკოხნა-ვით და უსარგებლოთ და სხვ...  
რ.საკვირველია, რომ ყველა ეს სიხარულის ღირსია, მაგრამ ის, ვინც ნამდვილათ უყურებს საქმეს, ის, რომელმანც იცის ჩვენი გლეხკაცის ცხოვრება, ის, რომელმანც იცის ის მხარე, საიდანაც ფაქტები იყო გად-მოცემული, —იტყვის, თუ რა საფუ-ძველი აქვს რედაქტორს, რომელმაც არ იცის აქაური ცხოვრება, დაუჯერ-როს ერთს, და მეორეს კი არა? რისთვის აძლევს უპირატესობას ერთს მეორის წინ? ან განა თიბა თვეში გადმოცემული ფაქტები გაამტყუენ-ბენ იანვარში გადმოცემულს? იქნება ამ ხუთი-ექვსი თვის განმავ-ლობაში სოფლის მოხელენი იმ გა-

მოცხადებამ ჩააგონა? ან იქნება „ვისდამიც ჯერ არს“ უბრძანა ღუქნებშიდამ გამოსვლა, თორემ „კანონიერათ დასჯებიან?“

შველასთუნ სასიხარულო იქნება, რომ არსად არ იყოს ამ გვარი მო-ვლინებანი, რომ ყველგან გონიერება, მშვიდობიანობა და განცხრომა სუფევდეს, მაგრამ რომ ასე არ არის, რომ ცხოვრებაში მრავალი უმსგავ-სოება, ხალხის ცხოვრების ორგუ-ლობა და ენება ხდება!... დამალოა, ფარდის გადაფ რება საქმეს არ უშ-ველის; წინააღმდეგ, ამ გვარი მოქ-ცევა ძლიერ საფინებლია: ამით იფა-რება საზოგადოების თვლილამ სი-საძაგლე და ამ მიფარულში უფრო ს.ძ გლდება და უფრო საფინებლი ხდება ცხოვრებისთვის...  
ჩვენ არ ვამბობთ, რომ რომელ-სამე ზემოთ მოყვანილს შემთხვევა-ებს უეჭველათ ადგილი აქვს, უეჭ-ველათ მართლა ასე არის; ჩვენ ამით გვინდა ვთქვათ, რომ უფ. რედაქ-ტორს მომეტებულათ არ უნდა უ-ყვარდეს ზოგიერთი ფაქტები.

ამ ფაქტების გადმოცემს, მგონია, არაერთი გარეშე ინტერესი არა ჰქონდა, გარდა საქმის შეწვევისა, რამდენათაც ეს შეიძლებოდა, და მიმართა იმ საშუალებას, რომელიც უფრო კარგათ და პირ და-პირათ მი-ღებულთა საზოგადოებაში. იმან მი-მართა სასოფლო გაზეთს და გა-მოაცხადა საზოგადოთა პირ-და-პირი დასახლება, მითითება არ იყო არც საჭირო და არც კარგი. არ იყო საჭირო მითომ, რომ უამისო-თაც ეშველებოდა საქმეს: გაზეთს ენამე წაიკითხავდა, და თითონ იმ პირთაგანაც, რომლებიც ამ გვარ საქმეს ჩ.დიოდნენ, და იქნება მო-იფიქრებდა და თავს დაანებებდა, — შერცხვებოდა სხვისა, შეეშინდებოდა „კანონისა.“ არ იყო კარგი მითომ, რომ ამითი ვაი თუ ეს პირები შეჭ-ყოფდნენ თავებს კანონების კანათ-სი, რადგანაც „სოფლის მოხელეებს ყოველ გვარი ვაჭრობა კანონით აკრძალული აქვთ,“ და ეს არ იქნე-ბოდა აგრე სასურველი, მგონია, არაერთის. ამით არ გასწორდებო-და, მგონია, საქმეც.

რაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, პირველათ გამოცხად-ებული ფაქტები ნამდვილი შემთხვე-ვიდამ იყო ადგილური და იმათში სიმართლე იყო. ამ ნაირი გამოცხა-დება სარგებლობას მოუტანდა რო-გორც იმ ალაგას, რომელსაც ენე-ბოდა, აგრეთვე სხვაგან. რასაკვირ-ველია, რომ ეს სარგებლობა ძლიერ სუსტია, მაგრამ რას გვიბრძანებთ, რომ ამაზედ მეტს ვეღარასა ეზო-ვებთ სოფლის ხალხის ინტერესის მკვეფონი...  
რომ სამუდამოთ გაათავს უფ. რე-დაქტორმა საქმე ზემოთ-მოყვანილ ტყუილ ფაქტების შესახებ და სხვას რასმე მიუჯდოს ყური, მე, დაიმედო-ენებული, რომ არაფერი ცუდი შე-დგებ არ იქნება, დაუსახლებ იმ მო-ხელეთ, რომლებსაცა ჰქონდა გა-მართული სათრობი სასმლის სავაჭ-

რო ღუქნები იმ დროს, როდესაც მას გადასცეს ფაქტური მუქნი ცარქა მსურდა, მაგრამ გაუწყვეტლომა გა-მეორებამ იძულებული მქმნა გამო-ვაცხადო ეს და მოვიხადო ის წნე-ობითი ვალდებულება, რომელიც არის ჩემზედ.

1) მთელს მამასახლისობაში, ვი-ღრე იმის ადგილს არ დამიქვრდა ამ წლის მაისიდან ახალი მამასახლისი, ამტნის ხევის მამასახლისსა ჰქონდა გამართული ღვინო-არაყის და სხვა საწვრილმანოს ღუქანი შიგ შუა მინ-დორში, სოფლებიდან დაშორებით. სულ ყოველთვის ეს მამასახლისი ამ ღუქანში იყო, აქავე ახდენდა ხალ-ხის ყრილობას, არ შეიძლება, რომ ეს ღუქანი და მასში ერთგულათ მტრიალბელი გაწითლებული ხში-რათ შეზარხოშებული მამასახლისი არ ენახოს უფ. თიონელს. უნდა გენახოთ, რა სცენები ხდებოდა ამ ღუქნის წინ საქმეების „ბუბობის“ დროს! რასა-კვირველია, რომ საქმეები ბოლო-ვდებოდნენ თითქმის ყოველთვის „ჩამოსხმით,“ მოხელენიც კმაყო-ფილდებოდნენ და მოჩივარნიც.

2) საყდრიონის მამასახლისმაც გახ-სნა ორი სხვა ამხანაგით ნადირანთ ხევზედ ღვინო-არაყის ღუქანი, მაგ-რამ ეს ღუქანი დაიკეტა მოკლევე დროში. ამავე სოფელში ჰქონდა მონაწილეობა ზემოთ ნახსენებ მამა-სახლისის კიდევ სხვა ღუქანში.

3) მე მეუბნებოდნენ, რომ ორ-ხევის მამასახლისსაცა აქვს ღუქანი; მე ეს მჯეროდა, ესლაცა მჯერა, მა-გრამ ნამდვილათ კი არ ვიცი.

4) აღრე ნამყოფს თიანეთის მა-მასახლის და ესლა მეორეთ ამორ-ჩეულს ჰქონდა ღვინის ღუქანი... თიონეთში კი არა, მრწოში, საყ-დრიონში. მხლა ამ ღუქანში ის მო-ნაწილეობას აღარ იღებს, როგორც ამბობენ, მაგრამ ამისი დაფიცვა არა-ვის შეუძლიან, რომ ის ღუქნებში ფულებს მაინც არ ამუშავებდეს, რო-მლის უარსაცა ჰყოფს „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორი.

ახლა თიანეთის გარეშემო უნდა მი-ენებ-მოეხედათ, იქნება იქაც ვისმე ჰქონდა მონაწილეობა ღუქნებში...

ეს ფაქტები, რომელნიც ჩემ გა-რეშემო და ჩემ თვალწინ ხდებოდ-ნენ, მგონია, საკმარი იყო, რომ სა-სოფლო გაზეთში გადამეცა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ განსხვავან ხდება ამ გვარი შემთ-ხვევანი.

ამეგების არ ცოდნა მიეტყვება „სა-სოფლო გაზეთის“ რედაქტორს, თუ-მცა არ მიეტყვება ის „წყალობა“, რომელსაც ის აჩენს ზოგიერთის შე-სახებ და ის შედეგი, რომელიც მას გამოჰყავს, — მაგრამ უფ. თიონელმა კი უნდა იცოდეს ეს.

უფ. თიონელი და, მგონია, მის თანხმად „სასოფ. გაზეთის“ რედაქტორი, ძლიერ გულ-გრილათ და მსუბუქათ უყურებენ ზემოთ მო-ყვანილ ფაქტებს; ისინი არა ხედავენ დიდ ენებას არც სიმთვრალეში და არც ღვინო-არაყის ღუქნების გავრ-ცელებაში... მაგრამ ამაზედ მემრე.

პრობოტიონი  
(დასასრული შემდეგ №-ში)

# ნარკვი

მოს ამერიკელს ქალღმერთ კარბის (ბოჩკების) კეთილი მოუგონია. ეს ბოჩკები ხის ბოჩკებზე უფრო მაგარია თურმე და ამასთანავე, რასაკვირველია, ერთი ორად უფრო მსუბუქი და იაფი. მ. გონებისათვისავე უმინდობაში კამპანია შემდგარა და ორი ფაბრიკა, გაუმართეთ, სადაც ამისთანა ბოჩკებს ამზადებენ.

\*

ამას წინათ მიტავის გიმნაზიის ასი წლის იუბილე (დღეობა) უღდესასწაულნიათ. ბევრი ისეთი პირი დასწრებიან ამ იუბილეზე, რომელთაც ამ გიმნაზიაში შეუსრულებიათ კურსი. ამათ 4,000 მანეთი შეუკრებიათ ხელის-მოწერით და ფულები იმ დარიბი ახალგაზრდების სასარგებლოდ დაუნიშნავენ, რომელნიც მოტავის გიმნაზიაში კურსს შეასრულებენ და მერე რომელსავე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას მოინდომებენ.

\*

ფრანკო-რუსული ბავშვები გავსებულია იმ უბედურების აღწერით, რომელიც ბარონის დებარტამენტში წყალ-დიდობისა და საშინელი ნიაღვრის გამო მომხდარა. გამოძიებას აღმოუჩენია სხვათა შორის, რომ ამდროს 2,500 კაცი დაღუპულა და — მცხოვრებლებსა და სახელმწიფოს უკანასკნელი სამისი მილიონი ფრანკის ზიანი მისცემიათ.

ამ ამბის თაობაზე ერთი ფრანკო-რუსული გაზეთი იწერება, შესანიშნავი არისო, რომ ამნაირი წყალდიდობა ბარონისა ყოველ ოც წელიწადში ერთხელ ხდებოდა პერიოდულათო; პირველად — 1815 წელს იყო, შემდეგ მეორედ 1835 წელს, მერე 1855 და ერთიც ამ 1875 წელსაო. ამას გარდა შენიშნულია, რომ რამდენიც ხანი მიდის, წყალდიდობა თან-და-თან მატულობსო; იმი-სთანა მომტებული ბარონის მდინარე, როგორც წელს იყო, არასოდეს არ უფილაო. შესანიშნავია აგრეთვე, რომ წყალდიდობა წელს, საფრანგეთს გარდა, სხვა ქვეყნებშიაც უფილა; მაგ. ბოჰემიაში და იტალიის ზოგიერთ ალაგებშიაც.

# განსხვავებანი

განსხვავებული, რომელიც რამდენიმე წელიწადი ასწავლის რუსულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად, ძლიერ იაფ ფასათ, გიმნაზიის ოთხ კლასამდე განსვლელ რუსულ ენაში და სხვა საზნებშიდაც იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში,

ან სხვა სასწავლებლებში არიან და ეკაცების დროს მომზადება ექვერებათ, ან ეხლა სურთ მიიღონ სასწავლებელში.

აღრმისი იკითხეთ: თფილისში, „ლორების“ რედაქციაში, ძორღანოვის სახლებში, მოლონინის მოედანზე.

## ი ს ყ ი დ ე ბ ა

ქვეთი მეხელადის და ამხ. გამოცემანნი:  
 „სურამის ციხე“ — 20 კ.  
 „მეფის ტყაოსანი“ უყ. 50 „  
 — — — — — ყლით — 70 „  
 ლექსები და ანდაზები 5 „  
 სყოველ-დღეო ლოც. 5 „  
 სამიჯნორო ლექსები 5 „  
 მთერიანი — — — 5 „  
 მოძრავი ასოები — — 5 „  
 აგრეთვე ისყიდება ახლად გამოცემული „გოგანანი“ ლექსები, თქმული დავით გივიშვილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.  
 შეელო ეს წიგნები ისყიდებიან თფილისში ქვეთი მეხელადის სტამბაში და წიგნების მაღაზიებში, სხვა ქალაქებში „ლორების“ აგენტებთან.

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სასოცრად)

მრეწვის მედნაზე, ჩიტახოვის სახლებში. ავთომოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, ზაფხულოდით დილის 8 საათიდან 10 მდი.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჭუსი — ქალისა და ყმაწვილების ავთომოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთომოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთომოფობისათვის.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავთომოფ., მკოვსკი — გენერული ავთომოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ბრბოვსკი — ხირურგიული ავთომოფ., ტელიაჭუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავთომოფ., და მერმიშვილი — შინაგანი ავთომოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და მარკაროვი — შინაგანი ავთომოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი — შინაგანი ავთომოფ., და მკოვსკი — გენერული ავთომოფობისათვის.

უ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარძმო სარდაფში, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:

- ძარაკი — გირვანქა — 50 კაპ.
- ნალები — — — — 40 —
- სმეტანა — — — — 30 —
- შეელი — — — — 15 —
- ტვაროვი, ხაჭო — — — 10 —
- რძე — — — — — 5 —
- მაწონი — — — — — 5 —

სარდაფი იყოფება მრეწვის მედნაზე, სეპინარის პირ-და-პირ, მანდენოვის სახლებში.

მსურს აიყვანო მოსამზადებლად გიმნაზიის პროგრამის შესაფერ საზნებშიდაც და მნებშიდაც, ისე-

თი ყმაწვილები, რომელნიც ან ეკაცების შემდეგ გიმნაზიაში შესწავლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იმყოფებიან კიდევ და ან რომელთაც რომელიმე საგნიდამ, მიმავალი ეკაცების (კანკა.) შემდეგ, ხელმეორეთ დასაქვრი ეგზამენია აქეთ გარდადებული. — შფრო დაწერილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.

აღრმისი იკითხეთ: მ უ თ ა ი ს ს, უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

## ორი განსავლელი მუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და ერთი სტუდენტის მიიღებან შაგირდებს

ამ კანკი უღებ ში სხვა და სხვა საგნებში მოსამზადებლად ეგზამენისათვის. აგრეთვე ამზადებენ ყმაწვილებს შესასვლელად სხვა და სხვა სასწავლებლებში.

პირობების შეტყობა შეუძლიანთ ზაქროია ჭვიშვილთან, მუთაისის სასულიერო სასწავლებელში.



ზარდანქეშან-პიარი.

# პირველი კარი ყარაგანიანისა,

სპარსულიდგან ნათარგმნი ქართულის ენაზედ სახლთხუცის და სარდლის თამაღი დავით ორბელიანიანისაგან. საამოთ სასმენელი. ზოგიერთი სურათებით ქარაგანიანისა, ზარდანქეშანისა და სხე.

გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კობალაძისაგან.

ფასი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.)

ისყიდება თფილისის მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, მნფიჯიანცის წიგნის მაღაზიაში და სხვა ადგილებში.

იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა „მეორე კარი ყარაგანიანისა.“

რ. ბ. შ. ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოფობა	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი	8 18	8 17			ა) ფოთილდამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 27 ივნისს.		თფილისი, 2 ივლისს	
მცხეთა	9 18	10	68	38	მდესიკენ — ორშაბ. დილის 8 საათ	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 10
ბორი	11 39	1 43	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	ლონდონში 33 პენსი.		მერი ფუთი.	60
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	ფოთს — სამშაბათს, დამით.	შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	პარიჟში 348 სანტიმი.		ბაბა მრეწვისა, ფუთი.	4 50
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	მდესას — კვირას, გათენებისას.	ბ) მუთაისი დამ:	მსკონტი (სარგებლისფასი)		— ამერიკისა, ფუთი.	6 40
შვირილა	6 49		5 81	3 23	ფოთილდამ: I II III	თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%		ბაჰინტილი ბაბა ფთ.	8
მუთაისი	7 55		6 75	3 75	სოხუმამდი . 4 „ 3 „ 1 „	გ) გორი დამ.	მოგებიანი (პირველისესხი)		მატული თუშური ფთ.	6 50
სამტრედია	9 2		7 73	4 29	მერჩამდი . 20 50 15 50 5 „	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოგებიანი (მეორე სესხი)		— თარაქაშისა ფთ.	3 60
აბ. სენაკი	10		8 57	4 76	ტავანოვ. 34 „ 27 „ 8 60	დ) ფოთი დამ:	გარაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
ფოთი	11		9 75	5 42	მდესსამდი. 38 „ 30 „ 9 60	ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		ჭონი, ფუთი.	4
ფოთი	7 38				ტელეგრაფი მ. კაპ	ე) ფოთი დამ:	ხერსონის ბანკის (5 1/2)		ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
აბ. სენაკი	9 11	1 18	66		მცი სიტყვა თფილისი დამ:	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის (5%) . . .		სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია	10 12	2 6	1 14		მუთაისს, ფოთს . . . 1	აქციები:			ხორცი ძროხისა, ლიტ.	65
მუთაისი	11 17	3 4	1 69		ბორს, დუშეთს, სიღნაგს . . . 50	მდესის სავაჭრო ბანკის.			— ცხვრისა, ლიტრა . . .	75
შვირილნი	12 38	3 98	2 21		როსტოფს მდესას მოსკოვს . . . 2	ფოთი-თფილ. რკინ. გზის			სპირტი, ვედრო . . .	7
ბეჟათუბანი	3 27	დ. მე	5 33	2 96	პეტერბურგს, ვარშავას . . . 2	შავიზღვის ცეცხ. გემების			შაქარი, კარგი ფუთი . . .	8 40
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24	მსალეთში, შვიციკარიაში . . . 3	ქავკაზის და მერკურის . . .			— ფხვნილი ფუთი . . .	6 90
ბორი	7 23	3 31	7 36	4 9	ნიტალიამ და საფრანგეთში . . . 3 50	პირგ. საზღვევ. საზოგ.			შავა გრგვალი ფუთი . . .	19
მცხეთა	9 52	9 8	5 4	4	ინგლისში . . . . . 3 75	პეტერბ. საზღვევ. საზ.			ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6
თფილისი	10 49	8 2	9 75	5 42		დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . . 8	მოსკოვის საზღვევ. საზ.		მქრო 1/2 იმპერიალი . . .	5 90